

შპს „კავკასიის გენეტიკა“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

1. ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ
2. მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
3. ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
4. ზოგადი ინფორმაცია
5. სააღრიცხვო პოლიტიკა
6. ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებები და შენიშვნები

შპს კავკასიის გენეტიკა

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ლარი)

	შენიშვნა	12/31/2022	12/31/2021	12/31/2020
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	1	418,128	258,591	234,028
არამატერიალური აქტივები				
სულ გრძელვადიანი აქტივები		418,128	258,591	234,028
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	2	1,993,539	1,254,830	629,587
სავაჭრო მოთხოვნები	3	973,699	462,103	324,277
გადახდილი ავანსები	4	486,549	2,211,781	159,799
საგადასახადო აქტივი	5	241,395	459,453	17,233
ფული და ფულის ექვივალენტები	6	854,959	398,745	163,757
სულ მიმდინარე აქტივები		4,550,141	4,786,913	1,294,654
სულ აქტივები		4,968,269	5,045,503	1,528,682
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		1,000	1,000	1,000
დაგროვილი მოგება	7	2,456,126	1,348,072	715,434
რეზერვები		(25,789)	(25,789)	4,976
სულ კაპიტალი		2,431,337	1,323,283	721,410
ვალდებულებები				
ბანკის სესხის გრძელვადიანი ვალდებულება			19,924	50,365
ბანკის სესხის მიმდინარე ვალდებულება	8	20,006	28,531	22,907
სხვა მიმდინარე სასესხო ვალდებულება			97	97
სავაჭრო ვალდებულებები		1,052,273	390,995	346,055
მიღებული ავანსები	9	1,432,141	3,158,131	372,006
თანამშრომელთა მიმართ ვალდებულებები				1,600
საგადასახადო ვალდებულებები	10	32,513	124,542	14,242
სულ ვალდებულება		2,536,932	3,722,220	807,272
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულება		4,968,269	5,045,503	1,528,682

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოსაწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 2 მაისს

დირექტორი

თამარ ყაჭაშვილი

შპს კავკასიის გენეტიკა

2. მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ლარი)

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი	1	9,207,736	6,771,049
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	2	(7,405,307)	(5,470,118)
საერთო მოგება		1,802,428	1,300,931
კომერციული დანახარჯები	3	(29,782)	(31,015)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	4	(478,159)	(368,158)
საოპერაციო მოგება		1,294,487	901,758
ძირითადი საშუალების რეალიზაციის შედეგად მიღებული ზარალი	5	2739	(15,420)
ფინანსური ხარჯი	6	(3,520)	(7,138)
წმინდა მოგება-ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	7	5,064	(27,511)
საექვო დებიტორული დავალიანების რეზერვი		-	(30,765)
სხვა სრული შემოსავალი/ხარჯი	8	14,119	(1,760)
მოგება დაბეგრამდე		1,312,889	819,164
მოგების გადასახადის ხარჯი/შეღავათი	9	(12,967)	(6,800)
წმინდა მოგება		1,299,922	812,363
სხვა სრული შემოსავალი			
სულ		1,299,922	812,363

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოსაწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 2 მაისს

დირექტორი

თამარ ყაჭაშვილი

შპს კავკასიის გენეტიკა

3. ფულადი სახსრების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ლარი)

	შენიშვნა	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მყიდველებიდან მიღებული ფ/ს	1	7,916,079	10,152,801
საქონლის მომწოდებლებზე გადახდილი ფ/ს	2	(5,827,943)	(7,873,332)
სხვა მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე გადახდილ ფ/ს	3	(440,831)	(400,881)
გადახდილი გადასახადები	3	(829,241)	(1,178,697)
სულ წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		818,065	699,892
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენაზე გადახდილი ფ/ს	4	(92,700)	(180,476)
სულ წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(92,700)	(180,476)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
პარტნიორიდან მიღებული მოკლევადიანი სესხი			420,080
პარტნიორის მოკლევადიანი სესხის დაფარვა	5		(420,080)
დაფარული სესხები		(28,184)	(25,179)
გადახდილი დივიდენდები		(182,274)	(199,911)
სულ წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(210,459)	(225,090)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/შემცირება		514,906	294,326
ფ/ს პერიოდის დასაწყისში		398,745	163,757
საკურსო სხვაობების ცვლილებების გავლენა	6	(58,693)	(59,338)
ფ/ს პერიოდის ბოლოს		854,959	398,745

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოსაწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 2 მაისს

დირექტორი

თამარ ყაჭაშვილი

შპს „კავკასიის გენეტიკა“

ფინანსური ანგარიშგების სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები. სააღრიცხვო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წ. 31 დეკემბერს.

4. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება კავკასიის გენეტიკა შემდგომში (კომპანია) რეგისტრირებულია 2006 წლის 20 დეკემბერი კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო ნომრით 231279924. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მეცხოველეობის სფეროში ფერმის აღჭურვილობის, ცხოველთა ჯიშობრივი გაუმჯობესებისათვის განკუთვნილი პროდუქტების, სანაშენე მასალის, სანაშენე ცოცხალი პირუტყვის, რძისა და ხორცის წარმოება-გადამუშავებისთვის საჭირო მასალების იმპორტსა და მიწოდებას. აგრეთვე ადგილზე ხდება სანაშენე მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის გენეტიკური მასალის წარმოება. იურიდიული მისამართია სიღნაღის რ-ნი, სოფ. ტიბაანი. ფაქტიური მისამართია ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ, #26.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პარტნიორი არის:

- თამარ ყაჭაშვილი წილი - 100%;

5. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოხდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს (ბასს) მიერ დადგენილი და გამოქვეყნებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მეწილეებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია და შესაბამისად აფასებს, რომ კომპანიას როგორც ფუნქციონირებად საწარმოს აქვს საქმიანობის გაგრძელების უნარი.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

შეფასების ვალუტა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში („ლარი“)

ფუნქციონირებადი ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, კონვერტირებადი ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანსაქციის განხორციელების დღისათვის, ამასთანავე საანგარიშო წლის ბოლო თარიღით ხდება მათი გადაფასება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. . კონვერტაციის შედეგად წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობა აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე, მოგებად ან ზარალად.

2021 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	USD	EUR
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	3.0976	3.504
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	2.702	2.8844

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი შეფასება ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულების პირველადი შეფასება ხდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით), ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სხვა საწარმოზე გაცემულ გრძელვადიან სესხთან დაკავშირებით, მოთხოვნა აღიარდება მისაღები ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირითადი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით.

აღიარების შემდგომი შეფასება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს სავალო ინსტრუმენტები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან რომელთა რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება სხვაგვარად არის შესაძლებელი მიზანშეუწონელი დახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, ფასდება თვითღირებულების გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალების რეზერვების გამოყენებით შემცირებით.

აქტივების თვითღირებულება გაიანგარიშებაა აქტივების შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფულის ან ფულის ექვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალურ ღირებულების თანხით.

რეალური ღირებულება ფასდება თანხით, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიყვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“.

ამორტიზებული ღირებულება - თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარებული იყო თავდაპირველი აღიარებისას ძირითადი თანხის დასაფარად გადახდილი თანხების გამოკლებით ,

მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ. საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი არ არის წარდგენილი ცალ-ცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

საწარმო ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება მოიცავს ისეთ მონაცემებს, რომლებიც აქტივის მფლობელისთვის გახდება ცნობილი გაუფასურების გამომწვევი შემდეგი მოვლენების შესახებ:

ხელშეკრულების პირობების დარღვევა, გადაუხდელობა, ან ვადაგადაცილება არ შეიძლება დაკავშირებული იყოს ანგარიშსწორების სისტემებით გამოწვეულ დაგვიანებასთან.

მხარეს გააჩნია მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები, რაც დასტურდება კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;

როდესაც მოსალოდნელია, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი;

კომპანია დებიტორის ფინანსურ სიძნელეებთან დაკავშირებული ეკონომიკური ან იურიდიული მიზეზების გამო, დებიტორს სთავაზობს ისეთ დათმობებს, რომლებსაც სხვა შემთხვევაში არ შესთავაზებდა;

ობიექტური ნიშნების არსებობა, რომლებიც იმაზე მიუთითებს, რომ შემცირდა ფინანსური აქტივების ჯგუფთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადები მათი საწყისი აღიარების შემდეგ, თუმცა ამგვარი შემცირების ოდენობის განსაზღვრა ჯგუფში შემავალი ცალკეული ფინანსური აქტივისთვის ჯერჯერობით შეუძლებელია.

გაუფასურების კუთხით ერთობლივი წესით შეფასებული ფინანსური აქტივების სამომავლო ფულადი ნაკადები განსაზღვრულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივებზე მიღებული ზარალის ისტორიული მონაცემების საფუძველზე. ზარალის ისტორიული მონაცემების კორექტირება ხდება არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რათა ასახულ იქნას მიმდინარე არსებული პირობების გავლენა, რომელთაც მანამდე გავლენა არ მოუხდენიათ ზარალის ისტორიულ მონაცემებზე, და ასევე არ იქნას გათვალისწინებული გამოცდილების საფუძველზე დადგენილი ის გარემოებები, რომლებიც ამჟამად აღარ არსებობს. . სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდოლოგიის და დაშვებების შესწორება ხდება რეგულარულად, მოსალოდნელ და ფაქტობრივ ზარალს შორის სხვაობის შემცირების მიზნით.

გაუფასურების ზარალი ყოველთვის აღიარდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირების მიზნით .

გაუფასურების შემდგომ პერიოდში ადგილი ექნება აქტივის გაუფასურების ზარალის თანხის შემცირებას რაც დაკავშირებული იქნება გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს რეზერვის ანგარიშის კორექტირებით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას, რომელსაც გააჩნია ამ აქტივის მთლიანად გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა ნებისმიერ არადაკავშირებულ მესამე მხარეზე, შეუძლია ამ შესაძლებლობის გამოყენება ცალმხრივად და აქტივის გადაცემაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების აუცილებლობის გარეშე

არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს.

კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარ გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გამო.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსურ ვალდებულების აღიარებას, როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება იფარება, უქმდება ან ვადა გასდის.

კომპანია დაფარულ ან სხვა მხარისათვის გადაცემულ ფინანსურ ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ კომპენსაციის თანხას შორის (ნებისმიერი გადაცემული არაფულადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების ჩათვლით) სხვაობას ასახავს მოგება-ზარალში,

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადარფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფული და ფულის ექვივალენტი

ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშზე და მოთხოვნამდე საბანკო დეპოზიტებს 3 თვემდე დაფარვის ვადით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის კომპანიის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში საქონლის მიწოდების და მომსახურების გაწევის შედეგად მყიდველებისაგან მისაღები თანხები. აღირიცხება ნომინალური ღირებულებით, ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ნეტო (მოსალოდნელი ანაზღაურების) თანხით.

მოთხოვნების წმინდა ღირებულებით ასახვისათვის ტარდება მოთხოვნების ანალიზი მათი წარმოშობის ვადების მიხედვით და ერიცხება საექვო ვალუბის რეზერვი.

მოვალეობის უმრავლესობაზე ფინანსური მდგომარეობის შესახებ საიმედო ინფორმაციის არსებობისა და კომპანიის წარსული გამოცდილების გათვალისწინებით, სავარაუდო ზარალის შეფასება არსებითად განსხვავებული არ იქნება შემდგომში რეალური მოცულობისგან.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

კომპანია ძირითად საშუალების თავდაპირველი აღიარებისას აფასებს თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ ყველა პირდაპირ ხარჯს. თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასება ხდება თვითღირებულების მოდელით.

ძირითადი საშუალებების შემენის შემდგომი დანახარჯები ემატება ამ აქტივის ღირებულებას ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და საწარმოსათვის შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალებებისათვის კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის სასარგებლო მომსახურების მთელი ვადის მანძილზე.

ძირითადი საშუალებების ცვეთის თანხა ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	25-50
მანქანა დანადგარები	8-10
ოფისის აღჭურვილობა	5-8
სატრანსპორტო საშუალებები	8-10
არამატერიალური აქტივები	3-10

ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს გაუფასურების ინდიკატორს, რათა უზრუნველყოს, რომ აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახოს ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტი თანხა. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება აქტივის, ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი თანხით.

საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება მეტია მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებაზე. გაუფასურების ზარალი აღიარდება შესაბამის პერიოდის სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

კომპენსაცია, რომელიც საწარმოს მისაღები აქვს მესამე მხარეებისაგან, დაზიანების, დაკარგვის ან გაცემის შემთხვევაში, მოგება/ზარალში ამ მოთხოვნის წარმოშობის პერიოდში.

ძირითადი საშუალებების აღიარების შეწყვეტა ხდება აქტივის გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აღიარების შეწყვეტის შედეგად შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. შედეგი აღიარდება იმ პერიოდის მოგება/ზარალში, რომელშიც ადგილი ქონდა აღიარების შეწყვეტას.

შემენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაციის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან ანაზღაურებად ღირებულების განაწილებას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

არამატერიალური აქტივის აღიარებ ახდება მხოლოდ მაშინ, როდესაც: ა) მაღალია იმის ალბათობა, რომ საწარმო მიიღებს აქტივიდან მოსალოდნელ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს; და ბ) შესაძლებელია აქტივის თვითღირებულების საიმედოდ შეფასება.

საწარმომ აფასებს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლის ალბათობას გონივრული და დასაბუთებადი დაშვებებით, რომლებშიც გათვალისწინებულია იმ ეკონომიკური ვითარების ხელმძღვანელობის მიერ გაცემებული საუკეთესო შეფასება, რომელიც იარსებებს აქტივის სასარგებლო მოხმარების ვადის განმავლობაში. საწარმოში აქტივის საწყისი აღიარების დროს არსებული მტკიცებულების საფუძველზე (გარე მტკიცებულებისთვის უფრო მეტი მნიშვნელობის მინიჭებით) განიხილავს, თუ რამდენადაა მოსალოდნელი აქტივის გამოყენებაზე მიკუთვნებადი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა.

არამატერიალური აქტივის საწყისი შეფასება ხდება თვითღირებულებით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღრიცხვას კომპანია ახდენს უწყვეტი აღრიცხვის მეთოდით.

საწარმო მარაგებს აფასებს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასა და მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ ყველა დანახარჯს.

მარაგების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

დაბეგვრა

კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის მოქმედი იმ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს.

ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან), სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მუხლში ერთიანდება მომწოდებლებისათვის გადასახდელი თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის ან საქონლის მოწოდების შედეგად. თუ სავაჭრო ვალდებულების დაფარვა მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ვალდებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდება გრძელვადიან ვალდებულებებში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში) საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა/ხარჯი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში შესაბამისად.

საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, საკუთრების უფლების ცვლილება), მხოლოდ კომპანიის მესაკუთრის გადაწყვეტილებით ხდება.

საკუთარი კაპიტალი მოიცავს საწარმოს მესაკუთრეების მიერ განხორციელებულ ინვესტიციას, ამ ინვესტიციების მატებას, რომელიც მიღებულ იქნა კომპანიის მომგებიანი საქმიანობებიდან და საწარმოში რჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენების მიზნით და მესაკუთრეთა ინვესტიციის შემცირებას, რაც განაპირობა არამომგებიანმა ოპერაციებმა და მესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

ამონაგები

საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგების აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებს და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინსაწარ შეთანხმებულ სარგებელს. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;

მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

თუ კომპანია ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, ოპერაცია არ მიიჩნევა გაყიდვად და, შესაბამისად, არ ხდება ამონაგების აღიარება.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როცა მომსახურების მიწოდების შედეგების საიმედოდ შეფასება არის შესაძლებელი, კერძოდ თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;

მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში;

შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშო პერიოდის ბოლოს;

შესაძლებელია მომსახურობაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება

თუ მომსახურების გაწევა ხდება განუსაზღვრელი რაოდენობის მრავალჯერადი აქტის შედეგად გარკვეული პერიოდის განმავლობაში, საწარმო ამონაგებს აღიარებს თანაბარზომიერად (წრფივი მეთოდით), ამონაგების თანხა განისაზღვრება მიღებული საქონლისა და მომსახურების რეალური ღირებულების მიხედვით. კორექტირება ხდება გადაცემული ფულის ან ფულადი სახსრების ექვივალენტის თანხით. თუ შეუძლებელია მიღებული საქონლის და მომსახურების რეალური ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა, ამონაგების თანხის ფასდება გაცემული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემდგომ კორექტირდება მიღებული ფულის ან ფულადის სახსრების ექვივალენტების თანხის მიხედვით.

სხვა შემოსულობა

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისთვის.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელთა არ არის დაკავშირებული მის ძირითად საქმიანობასთან მოგება-ზარალის ანგარიშებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური სარგებელი წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშებაში აღიარდება გონივრული განაწილების ბსაფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის ღირებულების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაში.

იჯარა

კომპანია ახდენს იჯარის კლასიფიკაციას ფინანსური და საოპერაციო იჯარად.

ფინანსური იჯარის დროს უფლებები აქტივის გამოყენებაზე და ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე აღიარდება როგორც აქტივები და ვალდებულებები საიჯარო აქტივის რეალური ღირებულებასა და

განგარიშებულ მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მინიმალური საიჯარო გადასახდელების განაწილება პირობით საიჯარო გადასახდელებად და დაუფარავ ვალდებულებად ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. პირობითი საიჯარო გადასახდელები ხარჯად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც გაწეული იყო. ცვთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

საოპერაციო იჯარის დროს საიჯარო გადასახდელები ხარჯად აღიარდება წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში. იჯარის ხარჯის უმეტესი ნაწილი მონაწილეობას იღებს მარაგების თვითღირებულების ფორმირებაში.

თანამშრომელთა ხარჯები და მასათან დაკავშირებული შენატანები

ხელფასი, ბონუსები, დარიცხულია წლის განმავლობაში, მაშინ როდესაც თანამშრომლებმა გაუწიეს მომსახურება კომპანიას, ხოლო ანაზღაურებადი შვებულებები, მათი ფაქტური სარგებლობის დროს.

ვინაიდან საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკით მიმდინარე წლის გამოუყენებელი შვებულება არ ანაზღაურდება მომავალ პერიოდებში, არ წარმოიქმნება გამოუყენებელი შვებულების რეზერვი.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯები აღიარდება მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

წინა საანგარიშო პერიოდში დაწყებული და ამ პერიოდში გაგრძელებულ გლობალური მოვლენა, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო ეკონომიკაზე, კერძოდ, კორონოვირუსის კოვიდ-19 გავლენა შეიძლება ითქვას რომ კომპანიისთვის იყო მნიშვნელოვანი გამოწვევა წინა საანგარიშგებო პერიოდში. ამ პერიოდში გაცილებით მომზადებული და ინფორმირებული დახვდა. კომპანიამ მოახერხა არა მარტო ფუნქციონირებადობის შენარჩუნება, არამედ რიგი ღონისძიებების გატარებით მნიშვნელოვანი ეკონომიკური წინსვლა და გაფართოვება.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

შპს კავკასიის გენეტიკა

6. ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საშუალებები	მიწის ნაკვეთი ტიბაანში	შენობა- ნაგებობა ტიბაანში	ლაბორატორია ტიბაანში	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა სპეციალიზებულ ლი ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	ბიოლოგიური აქტივები	ჯამი
	2110	2130	2150	2180	2151	2160/2170	2195	
2020 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით		(23,409)	(259,069)	(46,413)	(19,782)	(37,679)	-	(386,353)
2020 წ. 1 იანვრის მდგომარეობით ნარჩენი ღირებულება	700	42,628	20,896	69,551	19,944	9,274	85,036	248,028
2020 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით ნეტო საბალანსო ღირებულება	700	40,124	21,118	61,380	16,218	9,452	85,036	234,028
ისტორიული ღირებულება 01.01.2021	700	63,533	280,187	107,793	36,000	47,132	85,036	620,381
შეძენა/კაპიტალიზება	-	38,621	-	55,200	-	15,591	62,152	171,564
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	(63,542)	-	-	(61,726)	(125,268)
რეკლასიფიკაცია		(8,331)				8,331		
2021 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით	700	93,823	280,187	99,451	36,000	71,054	85,461	666,677
ცვეთა								
დაგროვილი ცვეთა 01.01.2021 წ. მდგომარეობით	-	(23,409)	(259,069)	(46,413)	(19,782)	(37,679)	-	(386,353)
პერიოდის ცვეთა	-	(2,667)	(2,354)	(29,802)	(2,287)	(3,141)		(40,250)
გასული/ჩამოწერილი მ/საშუალების დაგროვილი ცვეთა	-			18,461		56		18,517
რეკლასიფიკაცია		5,611				(5,611)		
2021 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(20,464)	(261,424)	(57,754)	(22,069)	(46,375)	-	(408,086)
2021 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით ნეტო საბალანსო ღირებულება	700	73,358	18,764	41,697	13,931	24,679	85,461	258,591
ისტორიული ღირებულება 01.01.2022	700	93,823	280,187	99,451	36,000	71,054	85,461	666,677
შეძენა/კაპიტალიზება	-	-	5,509	160,826	-	23,974	-	190,309
გასვლა/ჩამოწერა			(913)					(913)
2022 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით	700	93,823	284,783	260,277	36,000	95,029	85,461	856,073
ცვეთა	-							-
დაგროვილი ცვეთა 01.01.2022 წ. მდგომარეობით	-	(20,464)	(261,424)	(57,754)	(22,069)	(46,375)	-	(408,086)
პერიოდის ცვეთა		(4,729)	(4,317)	(11,152)	(2,786)	(7,729)		(30,713)
გასული/ჩამოწერილი მ/საშუალების დაგროვილი ცვეთა			855					855
2022 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(25,193)	(264,885)	(68,906)	(24,855)	(54,105)	-	(437,944)
2022 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით ნეტო საბალანსო ღირებულება	700	68,629	19,898	191,371	11,145	40,924	85,461	418,128

ბიოლოგიური აქტივი - სანაშენე, სადემონსტრაციო, სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი. ხდება ბიოლოგიური მასალის სპერმის წარმოება სარეალიზაციო მიზნებისათვის. ბიოლოგიური აქტივები აღირიცხება თვითღირებულების მეთოდით..

2. სასაქონლო მატერიალური მარაგები	2022	2021	2020
გასაყიდად გამოიზნული საქონელი	1978561.57	1,248,655	562,818
წედლეული და მასალები	8547.94		54,752
დაუზუსტებელი წარმოება			5,600
მზა პროდუქცია	6429.8	6,176	6,417
	1,993,539	1,254,830	629,587

3. საფაქრო მოთხოვნები	2022	2021	2020
საფაქრო მოთხოვნები	999,489	487,893	319,301
საექვეო დებიტორული დავალიანება	(25,789)	(25,789)	4,976
	973,699	462,103	324,277

4. გადახდილი ავანსები			
მომწოდებლებისათვის გადახდილი ავანსები	445,435.71	2,211,781	159,799
თანამშრომლებისათვის საექვანგარიშოდ გაცემული თანხები	41,112.90		
	486,549		

5. საგადასახადო აქტივი	2022	2021	2020
წინასწარ გადახდილი გადასახადები (ავანსების დღე)	203,082.75	424,654	6,751
წინასწარ გადახდილი გადასახადები (მოგება, ჭირება)	1,606.00	1,555	1,556
საგადასახადო აქტივი-ერთიანი საგადასახადო ანგარიშის სალდო		12,448	8,926
შესასციებელი დღე	36,706.63	20,796	
	241,395	459,453	17,233

6. ფული და ფულის ექვივალენტები			
ფული საღარიშში	1,905.75	14,799.02	72,313
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	346,168.24	155,735.83	3,511
ფული უცხოურ ვალუტაში დოლარის ანგარიშზე ეროვნული კურსით	68,834.42	14,047.09	105
ფული უცხოურ ვალუტაში ევროს ანგარიშზე ეროვნული კურსით	438,050.14	214,163.08	87,828
	854,959	398,745	163,757

7. საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალს საწვარიშო პერიოდში ცვლილება არ განხორციელებულა.

	2022	2021	2020
საწესდებო კაპიტალი	1,000.00	1,000	1,000
დაგროვილი მოგება	1,348,072.21	720,410	541,941
პერიოდის მოგება	1,299,921.79	838,152	239,248
გაცემული დივიდენდი	(191,867.53)	(210,490)	(65,756)
საექვეო დებიტორული დავალიანების რეზერვი	(25,789.36)	(25,789)	4,976
	2,431,337	1,323,283	721,410

8. სასესხო ვალდებულებები	2022	2021	2020
სასესხო ვალდებულება გრძელვადიანი ნაწილი	-	19,924	50,365
სასესხო ვალდებულება მიმდინარე ნაწილი	20,005.64	28,170	22,907
საპროცენტო ვალდებულება	-	362	
მოკლევადიანი სესხები		97	97
	20,006	48,552	73,369

9. მიმდინარე ვალდებულებები	2022	2021	2020
საფაქრო ვალდებულებები	1,052,273.31	390,995	346,055
მიღებული ავანსები	1,432,140.53	3,158,131	372,006
თანამშრომელთა მიმართ ვალდებულებები	-		1,600
	2,484,414	3,549,126	719,661

10. საგადასახადო ვალდებულებები	2022	2021	2020
მოგების გადასახადი	6,393.53	880	781
საშემოსავლო გადასახადი		125	5,863
გადახდილი ავანსების დღე	3,977.09	33,161	
ჭირების გადასახადი	2,541.52	1,689	1,914
საბაჟო პროცედურების შედეგად წარმოქმნილი საგადასახადო ვალდებულებები(დღ.იმპორტი)	10,210.51	88,686	1,803
საგადასახადო ვალდებულება-ერთიანი საგადასახადო ანგარიშის სალდო	9,390.18		
გადასახდელი დღე			3,880
	32,513	124,542	14,242

**მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგების
აბსნა-განმარტებითი შენიშვნები**

	2022	2021	2020
1. შემოსავალი			
ღრმად გაყინული სპერმის რეალიზაცია	455,578	197,346	189,301
ლორის სპერმის რეალიზაცია	47,104	47,949	34,748
რძის მოხილური სანველი აპარატების რეალიზაცია	-	68,036	39,414
ლაქტისკანების რეალიზაცია	18,569	116,691	7,860
ცოცხალი უმხოლუმბის რეალიზაცია	3,148,126	2,005,848	1,458,445
სხვა საკომისიო	-	215,214	19,795
მეცხოველეების ფერმის აღჭურვილობის რეალიზაცია	4,207,667	3,792,551	1,078,472
საკონსულტაციო სერვისი (ფერმები/რძის საწარმოები)	59,007		1,962
ყველის კვების რეალიზაცია	4,068	8,539	6,998
მინერალური ბლოკების რეალიზაცია	239,606	100,100	136,271
რძის სანველი დარბაზის რეალიზაცია,საკომისიო და მომტაყი	1,028,011	218,776	77,556
	9,207,736	6,771,049	3,050,824

	2022	2021	2020
2. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება			
რეალიზებული ღრმად გაყინული სპერმის თვითღირებულება	(304,428.88)	(68,222)	(59,832)
რეალიზებული მეცხოველეუმბის ფერმის აღჭურვილობის თვითღირებულება	(3,126,156.71)	(3,056,709)	(784,528)
ლორის სპერმის თვითღირებულება	(31,280.50)	(21,034)	(14,005)
რძის მოხილური სანველი აპარატების თვითღირებულება	-	(53,723)	(29,452)
რძის სანველი დარბაზის, საკომისიო და მომტაყის თვითღირებულება	(665,475.80)	(254,094)	(50,807)
ლაქტისკანების თვითღირებულება	(13,250.34)	(93,727)	(5,297)
ყველის კვების თვითღირებულება	(3,600.90)	(6,860)	(5,924)
მინერალური ბლოკების თვითღირებულება	(166,019.62)	(76,219)	(100,897)
სიმინდის,ტერის მტესუმზირის დასხვა საკვები პროდ. თვითღ.		(34,922)	(42,598)
სხვა საწარმოო ზედნადები ხარჯების თვითღირებულება	(233,908)	(43,584)	(12,935)
მცირე რემონტის ხარჯები			(1,029)
ცოცხალი პორუტკების თვითღირებულება	(2,838,140)	(1,732,580)	(1,328,462)
საწარმოო ცვთის ხარჯი	(23,047)	(26,388)	
საგარანტიო ხარჯი		(2,056)	
	(7,405,307)	(5,470,118)	(2,435,763)

	2022	2021	2020
3. კომერციული დანახარჯები			
რეკლამის ხარჯი	(7,203)	(7,594)	(2,090)
მჩირიდების სხვა ხარჯები	(22,579)	(23,421)	(16,208)
	(29,782)	(31,015)	(18,298)

	2022	2021	2020
4. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები			
ხელფასის ხარჯი	(254,945)	(219,137)	(145,530)
საკონსიო ხარჯი	(3,758)	(2,605)	(1,914)
ოჯარის ხარჯი	(50,108)	(23,750)	(58,500)
კომუნალური/კომუნუკაციის ხარჯი	(13,206)	(13,004)	(10,143)
სამკურმწო ხარჯი	(9,022)	(6,788)	(5,589)
მფლინების ხარჯი	(8,954)	(3,586)	(1,760)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(3,435)	(2,845)	(804)
კომპიუტერის ხარჯი	-	(2,573)	(2,109)
სხვა ხარჯი	(24,825)	(7,466)	(6,311)
სწავლის და საწერო ხარჯი	(2,713)		
ბანკის საკომისიო ხარჯი	(16,918)	(24,298)	(13,752)
კონვერტაციიდან მოგება/ზარალი	(44,996)	(32,605)	(5,921)
საბუღალტრო მომსახურების ხარჯი	(17,654)	(4,800)	(4,800)
საკანცელარიო ხარჯი	(2,398)	(701)	(543)
ეიარის მომსახურების ხარჯი	(5,751)	(1,148)	
ქონების გადასახადის ხარჯი	(2,542)	(1,629)	(1,615)
ცვთის ხარჯი	(7,729)	(14,381)	(17,659)
ჩაუთვლეული დღგ-ს აღიარებული ხარჯი	(8,854)	(6,110)	(3,987)
თუიმედი დებიტორის ხარჯის ჩამოწერა			(14,114)
ჯარიმს საურავი	(351)	(733)	
	(478,159)	(368,158)	(295,050)

5. ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	2022	2021	2020
რეალიზებული ძ/საშუალებების სარეალიზაციო ფასი	2,796.61	29,661	
რეალიზებული ძ/საშუალებების წეტო საბალანსო ღირებულება	(57.84)	(45,081)	
ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	2,739	(15,420)	-

6. ფინანსური ხარჯი	2022	2021	2020
საპროცენტო ხარჯი	(3,520)	(7,138)	(9,667)

7. სავალუტო ოპერაციებიდან მოგება-ზარალი	2022	2021	2020
კურსთაშორის ძ/ზ სავალუტო ფულადი ანგარიშების გადაფასებიდან	(57,849)	(59,338)	47,481
კურსთაშორის ძ/ზ სხვა გადაფასებიდან	62,913	31,827	(103,887)

წმინდა მოგება-ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	5,064	(27,511)	(56,406)
--	--------------	-----------------	-----------------

8. სხვა სრული შემოსავალი/ხარჯი	2022	2021	2020
საშემოსავლო გადასხადის საბელშეიწიფო სუფსიდი		2,250	2,700
სხვა არასაოპერაციო მოგება/ზარალი	19,852	3,757	3,911
ინვესტიციური საქმიანობის შედეგად გამოვლენილი სასაქონლო მატ. მრავლების დანაკლისი / ზედმეტობა	(4,383)	(16,534)	
მომწოდებლის კრედიტ-წოტა		7,202	
მომწოდებლისაგან საგარანტეო ანაზღაურების მიღება		1,317	
უიშედი დებიტორის ჩამოწერა	(1,350)		
ჩამოწერილი უიშედი დებიტორის აღდგენა		249	
საექვო დებიტორული დავალიანების რეზერვი		(30,765)	
	14,119	(32,526)	6,611

9. მოგების გადასახდის ხარჯი	(12,967)	(6,800)	(3,003)
------------------------------------	-----------------	----------------	----------------

ფულადი სახსრების ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი
შენიშვნები

	2022	2021	2020
1. მყიდველებიდან მიღებული ფულადი სახსრები	7,916,078.73	10,152,801.49	3,131,405.29
2. საქონლის მომწოდებლებზე გადახდილი ფ/ს	(5,827,942.60)	(7,873,331.96)	(2,847,883.07)

3. სხვა მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე გადახდილი ფ/ს

თანამშრომლებისათვის გადახდილი ფ/ს	(220,309)	(178,690)	(116,248)
მეიჯარეებისათვის გადახდილი ფ/ს	(18,500)	(25,100)	(43,100)
გადახდილი საპენსიო გადასახადი		(5,383)	(3,675)
საკომუნეკაციო/კომუნალური მომსახურების მომწოდებლებისათვის გადახდილი ფ/ს	(11,071)	(14,055)	(11,473)
სადისტრიბუციო ტრანსპორტირების ხარჯებისათვის გადახდილი ფ/ს	(35,183)	(25,715)	(16,789)
მიეღონებისათვის გაცემული ფ/ს	(11,652)	(1,375)	(535)
წარმომადგენლობითი ხარჯებისათვის გადახდილი ფ/ს	(1,185)	(2,925)	(892)
საოფისე ინვენტარისათვის გადახდილი ფ/ს	(856)	(1,655)	(257)
სარეკლამო ხარჯებისათვის გადახდილი ფ/ს		(27)	(2,726)
ბანკის საკომისიო ფ/ს	(16,444)	(24,417)	(13,096)
კონვერტაციის საკომისიო	(44,996)	(32,605)	
გადახდილი გადასახადები	(829,241)	(1,178,697)	(215,225)
საკანცელარიო ხარჯებისათვის გადახდილი ფ/ს	(2,295)	(853)	(640)
სამშენებლო მომსახურებისათვის გადახდილი ფ/ს	(27,187)	(5,200)	(4,800)
სამყურნო ხარჯი	(7,978)	(8,337)	(7,682)
სამხალხლო პროგრამის მუშაობის უზრუნველყოფის მომსახურება	(4,932)		
სხვა გასაცემები	(3,591)	(12,987)	(16,337)
პროფესიული განვითარების ხარჯი	(2,336)	(1,266)	-
ჯანმრთელობის დაზღვევა	(8,811)	(7,892)	(4,820)
კომპიუტერის ხარჯი	(19,621)	(2,086)	(2,088)
გადახდილი პროცენტები	(3,882)	(6,776)	(9,488)
რემონტის ხარჯები		(43,538)	
	(1,270,071)	(1,579,578)	(469,870)

4. საინვესტიციო საქმიანობა

ძირითადი საშუალებების შეძენაზე გადახდილი ფ/ს	(92,700)	(180,476)	(7,278)
--	----------	-----------	---------

5. ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან

პარტნიორიდან მიღებული მოკლევადიანი სესხი		420,080	
პარტნიორის მოკლევადიანი სესხის დაფარვა		(420,080)	
დაფარული სესხები	(28,184)	(25,179)	(22,447)
გადახდილი დივიდენდები	(182,274)	(199,911)	(62,468)
	(210,459)	(225,090)	(84,915)

6. სავალუტო ოპერაციების შედეგად გამოვლენილი საკუროსო სხვაობა

	(58,693)	(59,338)	41,637
--	----------	----------	--------

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოსაწერილია მენეჯმენტის საბუღალტრო 2023 წლის 2 მაისის

დირექტორი

თამარ ყაჭაშვილი